382. ნათქვამაძე მ. საქართველოს ტერიტორიის ცვლილების საკითხისათვის XX ს.-ის 40-50-იან წლებში // ანალები. - 2000. - №1. - გვ. 70-77. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

383. ნიჟარაძე რ. ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი სიკვდილით დასჯაზე ძველ საქართველოში // ინტელექტი. - 2000. - №2(8). - გვ. 153-154. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

384. საღვინაშვილი მ. ქალაქის ადვოკატის ინსტიტუტი საქართველოში / მ. საღვინაშვილი, ე. თვაური // სამართალი. - 2000. - №6-7. - გვ. 142-149.

385. სვანიძე გ. კანონმდებლობა და უმცირესობათა უფლებები საქართველოში: თანამედროვე ვითარების მიმოხილვა // ქრისტიანული დემოკრატია. - 2000. - №1. - გვ. 19-30.

386. ფაცია მ. საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები // ადამიანი და კონსტიტუცია. - 2000. - №2. - გვ. 11-17. რეზ. ინგლ. ენაზე.

387. ფრიდონაშვილი ქ. სახალხო დამცველის დანიშვნის წესი საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში // სამართალი. - 2000. - №4-5. - გვ. 17-21.

388. ფუტყარაძე ი. ქონებრივი ქირავნობა ქართულ სამართალში // აღმანახი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. - 2000. - №14. - გვ. 7-11.

ქონებრივი ანუ ნივთის ქირავნობის ეროვნული ინსტიტუტის ისტორიულ-იურიდიული თვალსაზრისით განხილვა.

389. ფუტყარაძე ი. „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა“ // სამართალი. - 2000. - №6-7. - გვ. 105-110.

დავით ბატონიშვილის, ვახტანგ ბატონიშვილის, ვახტანგ VI-ის ნაშრომებსა და სხვა სამართლებრივ დოკუმენტებსა და ძეგლებში მოხსენიებული დაქირავებული მუშაკის შრომის საზღაურის ოდენობისა და მხარეთა შეთანხმებული ვალდებულებების შესახებ.

390. ყულიჯანიშვილი ა. სამართალცნობიერების დეფიციტი ქართულ მენტალობაში // ქრისტიანული დემოკრატია. - 2000. - №1. - გვ. 51-58.

ქართული მასმედიის მაგალითზე ნაჩვენებია სამართალცნობიერების დონე დღევანდელ საზოგადოებაში.

391. შაიშმელაშვილი ლ. პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში // ომეგა. - 2000. - №3. - გვ. 8-9.

392. შალუტაშვილი ლ. პრეზიდენტის ინსტიტუტის თავისებურებანი საქართველოში // სამართალი. - 2000. - №6-7. - გვ. 14-23.

საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა.

393. ჩიტაია ლ. აფხაზეთის სახალხო საბჭო – აფხაზეთის პარლამენტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში: (1918-1921 წწ.) // აფხაზეთის რეგიონალური მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერიი. - 2000. - №1. - გვ. 203-211. რეზ. რუს. ენაზე.

394. ჩიტოშვილი თ. კომლის ცნება. კომლის ქონება: (ისტორიული ასპექტი) // თსუ სიღნაღის ფილიალის შრომები. - 2003. - კრ. 4. - გვ. 270-278. რეზ. ინგლ. ენაზე.

სოფლად მცხოვრები ოჯახების, კომლისა და მის წევრთა უფლება-მოვალეობების სამართლებრივი რეგულირების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები.

395. ცხვედიანი რ. საპრეზიდენტო არჩევნების თავისებურებები საქართველოში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში // სამართალი. - 2000. - №1. - გვ. 31-40.

პრეზიდენტის არჩევის წესი საქართველოში, ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში.

396. ჭანტურია ლ. ჭანტურიამ თბილისში ევროპული სასამართლო პროცესი გამართა // მაკრო მიკრო ეკონომიკა. - 2002. - №3(52). - გვ. 6-9. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს სასამართლო რეფორმებზე ესაუბრა ს. სიჭინავა.

397. ჭილაძე გ. უფლებათა შეზღუდვა საქართველოს კანონით საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ // სამართალი. - 2000. - №4-5. - გვ. 63-67.

398. ხადური ნ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტის შესახებ // მაკრო მიკრო ეკონომიკა. - 2002. - №12. - გვ. 33-36. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

399. ხარშილაძე ი. ადმინისტრაციული გასაჩივრების ინსტიტუტი თანამედროვე საქართველოს კანონმდებლობით // სამართალი. - 2000. - №4-5. - გვ. 28-36.

400. ჯალაბაძე დ. შურისძიების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი ფშავის (ხალხურ) ჩვეულებით სამართალში // აღმანახი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. - 2000. - №14. - გვ. 20-33.

შურისძიებით მკველლობის („სისხლის აღების“) და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურების განხილვა ფშავ-ხევსურეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში ექსპედიციების შედეგად მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით.

401. ჯანჯღავა მ. საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი და მისი იმპიჩმენტი აშშ-ის კონსტიტუციასთან შედარებით // სამართალი. - 2000. - №2. - გვ. 7-11.

402. ჯიბლაშვილი ზ. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები // აღამიანი და კონსტიტუცია. - 2000. - №1. - გვ. 52-62.



## ადმინისტრაციული მმართველობა

403. ვაჭრიძე გ. საქართველოში სახელმწიფო ქონების მართვის რუსული სისტემის ისტორიიდან: (სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს შექმნა): [1868] // კავკასიის მაცნე. - 2000. - №2. - გვ. 245-248. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

404. თევზაძე რ. ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხისათვის საქართველოში // მეცნიერება და ტექნიკა. - 2000. - №1-3. - გვ. 14-16.

ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა დემოკრატიულ ქვეყნებში და მისი ჩამოყალიბების პროცესი საქართველოში.

405. შოშიკელაშვილი ა. ადგილობრივი თვითმმართველობა და მმართველობა საქართველოში // იურიდიული ჟურნალი. - 2000. - №4. - გვ. 22-25.

## სამხედრო საქმე

406. დოლიძე ლ. გენერალსიმუსი, მარშლები, გენერლები, ადმირალები – ჩვენი თანამემამულეები. - თბ., 2000. - 208 გვ.

წიგნში თავმოყრილია ბიოგრაფიული მონაცემები საქართველოს მკვიდრ და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ყველა ქართველ გენერალზე. წარმოდგენილია სამხედრო, სახელმწიფო უშიშროების, სასახლერო სამსახურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა ხელმძღვანელი 1918-2000 წლების მანძილზე.

407. ბახტაძე გ. გენერალი ასლან აბაშიძე – მემედ აბაშიძის ძმა // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №8. - გვ. 87-89.

დამოუკიდებელი საქართველოს გენერლის – ასლან აბაშიძის (1878-1924 წწ.) ცხოვრების ზოგიერთი დეტალი.

408. დოხნაძე გ. საქართველოს სამხედრო-გეოგრაფია და ეროვნული სამხედრო აღმშენებლობა / გ. დოხნაძე, გ. ლეფონავა // საქართველოს გეოგრაფია. - 2002. - №1. - გვ. 35-39. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საქართველოში სამხედრო გეოგრაფიული სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებისა და განვითარების აუცილებლობა.

409. კაციტაძე კ. არმია – ტექნიკური ინსტრუმენტი თუ ეროვნულ-სიმბოლო? // ომეგა. - 2000. - №4. - გვ. 2-8.

უსაფრთხოების პოლიტიკის, საგარეო ორიენტაციებისა და სამხედრო აღმშენებლობის საკითხების გარშემო საჯარო დისკუსიების გამართვის აუცილებლობა.

## **ქველმოქმედება. სოციალური უზრუნველყოფა**

410. გაბედავა ო. თბილისის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში // მაკრო მიკრო ეკონომიკა. - 2002. - №7-8(56-57). - გვ. 47-50. ტექსტი ქართ., ინგლ. და რუს. ენებზე.

ცალკეული დარგების განვითარების ტენდენცია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში; საბინაო ფონდის კეთილმოწყობა, სანიტარული დასუფთავება, წყალსადენ-კანალიზაცია, ტრანსპორტი და სხვა.

411. მაღლი დვთისგანაც შეიწირვების // მუდმივი კავშირის სამყარო. - 2002. - №1. - გვ. 17-19. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

საქართველოში ქველმოქმედების ისტორიის მოკლე მიმოხილვა. ზუბალაშვილების, დ. სარაჯიშვილისა და სხვათა ამაგი ქართული მწერლობისა და ხელოვნების განვითარებისათვის. კომპანია „მაგთი GSM“-ის საქველმოქმედო საქმიანობა.

412. პაპიაშვილი თ. იმ ნათელმოსილ ბილიკებს მივდექ // დროშა. - 2000. - №8-10. - გვ. 8-9.

ინტერვიუ თბილისში მცხოვრებ ინგილო პოეტ და საზოგადო მოღვაწე, პროფესიით ექიმ თ. პაპიაშვილთან მისი შემოქმედებისა და საქართველოში არსებული საინგილოსთან ურთიერთობის საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ქურმუხის“ საქმიანობის შესახებ / ესაუბრა ზ. ნადარეიშვილი.

413. ჭიოტაშვილი დ. საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებები // მაკრო მიკრო ეკონომიკა. - 2002. - №5-6(54-55). - გვ. 48-50.

ქვეყნის სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი.

414. ჯაფარიძე დ. ქართული მეცენატობის ისტორიიდან: დავით სარაჯიშვილი // მუდმივი კავშირის სამყარო. - 2003. - №2(18). - გვ. 18-25. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

საქართველოში კონიაკის წარმოების დამფუძნებლის, მეცენატ დავით სარაჯიშვილის ბიოგრაფიული ცნობები და საქველმოქმედო საქმიანობა.

415. ჯაფარიძე დ. ქართული მეცენატობის ისტორიიდან: ზუბალაშვილები // მუდმივი კავშირის სამყარო. - 2003. - №3(19). - გვ. 47-52. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

XIX ს.-ში მოღვაწე ზუბალაშვილების სხვადასხვა თაობის საქველმოქმედო საქმიანობა.

## განათლება

416. ალავერდაშვილი გ. კვალი ნათელი: (ეძღვნება მიხეილ მანდარიას). - თბ., 2000. - 40 გვ.

მათემატიკოსის, სხვადასხვა დროს ლენტეხისა და საგარეჯოს საშუალო სკოლების დირექტორის, 1986 წლიდან თბილისის განათლების მთავარი სამმართველოს პედაგოგიური განათლებისა და საკადრო უზრუნველყოფის განყოფილების გამგის ცხოვრება და საქმიანობა.

417. იაკობ გოგებაშვილი და პედაგოგიური მეცნიერება საქართველოში / კრებული შეადგინა და რედაქცია გაუკეთა აკად. ნათელა ვასაძემ. - თბ., 2000. - 44 გვ.

სამეცნიერო სესიის მასალები მიეძღვნა ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 160 წლისთავს. მოხსენებებში გაშუქებულია მისი ღვაწლი პედაგოგიურ მეცნიერებაში.

418. ტაძარი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ქართული საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი / ტექსტის ავტორი: პარმენ მარგველაშვილი. - თბ., 2000 - 177 გვ. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

აღბომში მოცემულია მოკლე ცნობები ქართული დამწერლობის, ქრისტიანობისა და ქართული საგანმანათლებლო ცენტრების, უნივერსიტეტის დაარსებისა და დღევანდელი დღის შესახებ.

419. ჭუმბურიძე დ. განათლება 1918-1921 წლებში. - თბ., 2000. - 234 გვ.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული განათლების რეფორმა.

420. Reisner, Oliver. Die Georgische Alphaletisierung – Gesellschaft: Schule Nationaler Eliten u. Vergemeinschaftung. - Wiesbaden: Steiner, 2000. - [26] s.

გერმანელი ქართველოლოგის – ოლივერ რაისნერის ნაშრომი „თერგდალეულებზე“, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაზე.

421. აბაშიძე რ. მაჰმადიანური სასკოლო განათლება აჭარაში 1878-1921 წწ. // საზრისი. - 2000. - №3. - გვ. 139-146.

422. ბასილაძე ი. პირველდაწყებითი სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX ს.-ის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოში // ინტელექტი. - 2000. - №2(8). - გვ. 155-168. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

423. ბასილაძე ი. სასულიერო განათლება მე-19 ს.-ის 80-90-იანი წლების დასავლეთ საქართველოში: (ქართული პრესის მიხედვით) /ი. ბასილაძე, ნ. ბლიაძე // ინტელექტი. - 2000. - №2(8). - გვ. 159-161. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

424. ბასილაძე ნ. ქართული ენის მოჭირნახულე // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №10. - გვ. 100-103.

იაკობ გოგებაშვილი განათლების მშობლიურ ენაზე მიღების აუცილებლობის შესახებ.

425. ბიბილეიშვილი ი. იაკობ გოგებაშვილი – ქართული საბავშვო მწერლობის ფუძემდებელი // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №10. - გვ. 92-96.

დაბადებიდან 160 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

426. გაბადაძე თ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სილიკატების ტექნოლოგიის კათედრა 70 წლისა // კერამიკა. - 2000. - №1(3). - გვ. 4-9.

კათედრის დაარსებისა და სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

427. გაგნიძე თ. სახალხო განათლება XVIII საუკუნის კახეთში // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. - 2000. - ტ. 2(11). - გვ. 162-175.

კათოლიკოს ანტონ I-ის, ფილიპე ყადომაზაშვილის, გაიოზ რექტორისა და დავით რექტორის საგანმანათლებლო მოღვაწეობა ერეკლე II-ის მეფობის დროს.

428. გობრონიძე ა. იაკობ გოგებაშვილი ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული მოძრაობის შესახებ // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №2. - გვ. 55-78.

429. გუგუნავა ნ. ახალი სასწავლო წელი – სიახლეთა მიჯნაზე // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №11. - გვ. 88-96.

განათლების რეფორმის მიმდინარეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

430. გუგუნავა ნ. განმანათლებელი // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №10. - გვ. 72-99.

იაკობ გოგებაშვილი – ქართული ეროვნული სკოლის ფუძემდებელი.

431. კვიციანი ნ. „ასი შექსპირიც ვერ ამოლევეს“... : იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი // მნათობი. - 2000. - №1-2. - გვ. 84-86.

432. კუპატაძე ბ. კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების მცდელობის ისტორიიდან // კავკასიის მაცნე. - 2000. - №1. - გვ. 68-71. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

XIX ს. 80-იანი წლებიდან კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების სურვილი და ის პოლიტიკური ფონი, რამაც ხელი შეუშალა ამ იდეის განხორციელებას.

433. მაღალაშვილი შ. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელობის შემეცნებითი მნიშვნელობა // ინტელექტი. - 2000. - №1(7). - გვ. 189-191.

434. მეტრეველი მ. იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობა ენის სწავლების მეთოდის პრობლემებთან დაკავშირებით // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. - 2000. - ტ. 2(11). - გვ. 181-183.

435. მეტრეველი მ. იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერული პრობლემატიკა // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. - 2000. - ტ. 2(11). - გვ. 176-180.

436. მეტრეველი მ. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს „რუსსკოე სლოვო“-ს სამეცნიერო-მეთოდური საფუძვლები // თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. - 2000. - ტ. 2(11). - გვ. 84-87.

437. მეტრეველი რ. კარგ პედაგოგს + ბეჯითი მოსწავლე = კარგი განათლება // მაკრო მიკრო ეკონომიკა. - 2002. - №1(50). - გვ. 16-17. ტექსტი ქართ., ინგლ. და რუს. ენებზე.

საუბარი თსუ-ის რექტორ როინ მეტრეველთან უმაღლესი განათლების განვითარების ძირითად მიმართულებებსა და არსებულ პრობლემებზე.

438. ნაკაშიძე რ. მაღალკვალიფიციური კადრები ქვეყნის აღორძინების გარანტიაა // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №2. - გვ. 106-114.

საგანმანათლებლო სტრუქტურაში არსებული პრობლემები.

439. რატიანი მ. საქართველოს განათლების სისტემის გეოგრაფიული და სოციალური თავისებურებანი // საქართველოს გეოგრაფია. - 2002. - №1. - გვ. 40-42. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

სტატიაში მოცემულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური დაწესებულებების რეგიონული განაწილების სურათი, შესწავლილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა დინამიკური მახასიათებლები 1990-1998 წლებში.

440. სონდულაშვილი ა. თბილისის უნივერსიტეტის როლი საქართველოს ინტელიგენციის ფორმირებაში (1918-1921 წწ.) // კლიო. - 2000. - №7. - გვ. 73-92.

უნივერსიტეტის შექმნა და მასში მიმდინარე პროცესები: მასწავლებელთა და პროფესორთა პირველი შემადგენლობა, უნივერსიტეტში დაცული პირველი დისერტაცია.

441. ტოტონავა კ. იაკობ გოგებაშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ // სკოლა და ცხოვრება. - 2000. - №1-6. - გვ. 90-98.

442. ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა – 2000 // ქართველოლოგი. - 2000. - №7. - გვ. 69-75.

მიმდინარე წლის საზაფხულო სკოლის (10 ივლისი – 15 აგვისტო) მონაწილე უცხოელ მოქალაქეთა შთაბეჭდილებები, ჩაწერილი სკოლის დამთავრების დღეს.

443. ყველაშვილი გ. „სიხარულის კლასი“ // საქართველოს ქალი. - 2003. - №1-2. - გვ. 18-19.

ინტერვიუ თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის პედაგოგ გულიკო ყველაშვილთან / ჩაიწერა მ. ნაკაიძემ.

444. ყრუაშვილი ნ. ივანე გვარამაძის შეხედულებანი საოჯახო აღზრდის შესახებ // თსუ ახალციხის ფილიალის შრომები. - 2000. - კრ. 2. - გვ. 137-143. რეზ. რუს. ენაზე.

XIX ს.-ის განათლების სფეროს მოღვაწე, პედაგოგი.

445. ჩხარტიშვილი ღ. ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის ისტორიიდან // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №9. - გვ. 93-95.  
დაარსება, ტრადიციები.

446. ძეგვის ბავშვთა სახლი ხუთი წლისაა // რწმენა და ცოდნა. - 2000. - №2. - გვ. 31.

მცხეთის რ-ნის სოფ. ძეგვის ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული ბავშვთა სახლის მოზარდების აღზრდის ეროვნულ-ქრისტიანული ტრადიციები.

447. ხარანაული ბ. სიღამაზის მხევალი // საქართველოს ქალი. - 2003. - №3-4. - გვ. 8-9.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, პოეტ მირზა გელოვანის დის, რუსუდან გელოვანის გახსენება.

448. ხუციშვილი გ. თვითმპყრობელობის საგანმანათლებლო პოლიტიკის ისტორიისათვის საქართველოში // სკოლა და ცხოვრება. - 2000. - №1-6. - გვ. 99-105.

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა საქართველოში: ბრძოლა სკოლებში ქართული ენის სწავლების წინააღმდეგ.

449. Кутелия М. Коммуникативность в обучении иностранным языкам и принципы составления учебника немецкого языка для студентов-медиков // Научные труды: Серия: Филология. - 2001. - т. 3. - с. 97-103. Рез. на немец. яз.

В работе проанализированы учебники немецкого языка Ц. Мгалоблишвили, С. Н. Бондаря, В. А. Кондратьева и др., по которым в разное время проводилось обучение в Тбилисском государственном медицинском университете.

## **ეთნოგრაფია. მითოლოგია**

450. თეხელიშვილი ს. სუფრის კოდექსი, მანიფესტი, თამაღის მისტერია და ინსტიტუტი ძველ საქართველოში. - თბ., 2000. - 190 გვ.

ნაშრომი გვაცნობს და აღარებს ძველი და დღევანდელი სუფრის კულტურას.

451. მელიქიშვილი ლ. ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია. - თბ., 2000. - 68 გვ.

მოსაზრება საბჭოთა ეთნოგრაფიისა და დასავლური ეთნოლოგიის საგნის რაობისა და ამ ორი დარგის ურთიერთმიმართების შესახებ.

452. ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება. - თბ., 2000. - 80 გვ.

კავკასიურ ინსტიტუტში მოწყობილი დისკუსიის მონაწილეების – ლ. ბრეგაძის, ზ. შათირიშვილის, გ. ნიჟარაძისა და ე. ჯგერენაიას მოსაზრებები ქართული სუფრისა და მოღსენის წესების თაობაზე.

453. დლონტი თ. ქართველები, ვაზი და პურ-ღვინო / თ. დლონტი, ო. გოლიაძე. - თბ., 2000. - 96 გვ.

ნაშრომში წარმოჩენილია ჩვენს ცნობიერებაში მივიწვევებული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები.

454. ჩინჩაღაძე გ. ზოგიერთი ქართული ხალხური წეს-ჩვეულების ინტერპრეტაციისათვის. - თბ., 2000. - 84 გვ.

ხალხურ ჩვეულებათა ალგორითულ-ეტიმოლოგიური ინტერპრეტაცია მართლმადიდებლურ სახისმეტყველებასთან მიმართებაში.

455. Okinaschvili N. Gab es Eine Eidgenossenschaft in Hohen Kaukasus? Untersuchungen zur Schwureinung Anhand Svaischer Gedenkaufzeichnungen. - Gottingen: Vanenhoeck Ruprecht, 2001. - [30 s].



გამოკვლევა გვაცნობს შეფიცულთა (ძმადნაფიცთა) კავშირებს სვანეთში, მათ უფლება-მოვალეობებსა და წეს-ჩვეულებებს.

456. აბაკელია ნ. წინაპართაგან დაწესებული ერთი წეს-ჩვეულების შესახებ აფხაზეთში // არტანუჯი. - 2000. - №10. - გვ. 33-38. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

მსხვერპლშეწირვის რიტუალი წმ. გიორგისადმი.

457. აბაშიძე ბ. ქართული სიღრმისეული მითოსური სამყარო // პირველი სხივი. - 2000. - №28. - გვ. 129-136.

ცნობილ დეტაებათა (ამირანი, ელია, ალი...) ფუნქციების ევოლუციური ფორმირება.

458. არაბული გ. გველის კულტი ფშავ-ხევსურულ მითოსში // პირველი სხივი. - 2000. - №28. - გვ. 124-128.

459. აბრამიძე თ. ქორწინების ინსტიტუტი საინგილოში // წელიწადეული: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი. - 2002-2003. - ტ. 6-7. - გვ. 134-139. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ქორწინებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და ბავშვის დაბადებისა და აღზრდის წესები საინგილოში.

460. აფციური მ. კალმასობასთან დაკავშირებული წერილობითი ცნობები XVIII-XIX სს. საქართველოში // კლიო. - 2000. - №8. - გვ. 10-23.

კალმასობა, ანუ მონასტრისათვის პურის ჩამოსათხოვრად კარდაკარ, კალო-კალო სიარულის ჩვეულება, როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა ძველი საქართველოს სინამდვილეში.

461. ბახია-ოქრუაშვილი ს. აფხაზების დასახლების ფორმების საკითხისათვის // აფხაზეთის რეგიონალური მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2000. - №1. - გვ. 187-195.

ეთნოგრაფიული მასალები.

462. ბახია-ოქრუაშვილი ს. აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის (საგვარეულო სალოცავები) // კლიო. - 2000. - №1(7). - გვ. 3-36.

აფხაზთა ეთნო-რელიგიური და მითოლოგიური სიმბოლოები.

463. ბუხრაშვილი პ. ქრისტემდე III ათასწლეულის შუა ხანების ცენტრალური ამიერკავკასიის მოსახლეობის სამეურნეო-ყოფითი სტრუქტურის განსახლებისათვის // ამირანი. - 2000. - №2. - გვ. 19-35. რეზ. ინგლ. ენაზე.

ეთნოგრაფიული მონაცემებისა და არქეოლოგიური მასალის გამოყენება ეთნოგენეტიკური პროცესების კვლევაში, კერძოდ, ყოფისა და კულტურის საკითხებში.

464. გეგეჭკორი გ. საცხოვრებელ ნაგებობათა ერთი სახეობა საქართველოში: (ფაცხა) // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. - 2000. - ტ. 1. - გვ. 35-44.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა.

465. გეგეჭკორი გ. ჯარგვალი // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. - 2000. - ტ. 2. - გვ. 30-46.

უძველესი საცხოვრებელი ნაგებობა კოლხეთში. მისი ფორმები ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების მიხედვით.

466. გორდეზიანი ლ. ბერძნული მითები და ისტორია // ენა და კულტურა. - 2001. - №2. - გვ. 36-41. რეზ. ინგლ. ენაზე.

ავტორი ბერძნული თქმულებების საფუძველზე ახდენს ისტორიულ მოვლენათა რეკონსტრუქციას. ისტორიული ელემენტების შემცველ ლეგენდათა შორის განხილულია კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის ლიტერატურული ვერსია.

467. ებრალიძე ნ. თბილისური შეძახილები // არილი. - 2000. - №2. - გვ. 3-6.

შეძახილების – „ზადიკნუტ“, „სოროკ“-ის განმარტებისათვის. ცნობები სამგზავრო ტრანსპორტ „ფაეტონზე“.

468. ზოსიძე ნ. სისხლის ადების წესი აჭარაში და მისი ასახვა ლიტერატურაში // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №11. - გვ. 118-124.

469. ზურაშვილი მ. მონადირის განწმენდის რიტუალი და მისი სოციალური არსი მითო-რელიგიური რწმენა-წარმოდგენის მიხედვით // საზრისი. - 2000. - №3. - გვ. 154-162.

სამონადირეო-სამარხვო აღკვეთები საქართველოს მთიანი რეგიონის ხალხთა ყოფაში.

470. თავდგირიძე ხ. მითოლოგიური გადმოცემები აჭარაში: 1. სამყაროს დასაბამი და დასასრული; 2. უკვდავების ძიება // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №7. - გვ. 95-101.

471. იველაშვილი თ. სყიდვითი ქორწინების საკითხისათვის საქართველოში // თსუ ახალციხის ფილიალის შრომები. - 2000. - კრ. 2. - გვ. 101-106. რეზ. ინგლ. ენაზე.

ცოლის შერთვისა და მზითვის ინსტიტუტის წარმოშობის ისტორია.

472. იველაშვილი თ. ხალხური გადმოცემები, როგორც ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი წყარო // კავკასიის მაცნე. - 2000. - №2. - გვ. 65-68. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

თქმულება-გადმოცემებში არსებული ცნობები საქართველოს მთის მოსახლეობის ერთი ნაწილის სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან გადმოსვლის შესახებ.

473. ითონიშვილი ვაღერიან. თედო სახოკიას დედაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. - 2000. - ტ. 1. - გვ. 3-14.

მწერალ და მთარგმნელ თ. სახოკიას (1868-1956) პუბლიცისტურ-ეთნოგრაფიული სამეცნიერო გამოკვლევები.

474. ითონიშვილი ვაღერიან. სოლომონ დოღაშვილის ეთნოგრაფიული დაკვირვებები // მნათობი. - 2000. - №11-12. - გვ. 100-104.

475. ილურიძე მ. ზედაშე – „ბუღობის“ ერთობის სიმბოლო სოფელ მარტყოფში // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. - 2000. - ტ. 2. - გვ. 146-156.

ოჯახის ერთიანობის („ბუღობა“) სიმბოლოდ წოდებული რელიგიური დანიშნულების მქონე შესაწირი ღვინო ზედაშე და მის შესანახად განკუთვნილი მარნის მშენებლობისა და ქვევრების ჩადგმის წეს-ჩვეულებები ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით.

476. იოსელიანი ხ. სტუმრის მიღების წესი სვანეთში // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. - 2000. - ტ. 1. - გვ. 117-127.

477. იოსელიანი ხ. ქცევის ნორმები სვანური „ჩვეულებითი მართლიერების“ აღსრულებისას // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. - 2000. - ტ. 2. - გვ. 157-169.

სვანურ ხალხურ სამართალში ქცევის ნორმების დაცვასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულებები მკვლევარების – ბ. ნიჟარაძის, მ. გუჯჯეიანისა და რ. ხარაძის მიხედვით.

478. კაკაშვილი მ. საქორწილო რიტუალი: პატარძლის ახალ ფუძეზე – ზედაშესთან ზიარება: (ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) // თსუ სიღნაღის ფილიალის შრომები. - 2001. - კრ. 3. - გვ. 87-88. რეზ. ინგლ. ენაზე.

მკვლევარების – ვერა ბარდაველიძის, ნუნუ მაჩაბლისა და ზეპირგადმომცემლების – ენია ქშუტაშვილისა და ნინა შოლღაშვილის მასალების მიხედვით.

479. კაპანაძე ნ. ბავშვის აღზრდის ხალხური წეს-ჩვეულებანი რაჭაში: (ეთნოგრაფიული მასალების მიმოხილვა) // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. - 2000. - ტ. 1. - გვ. 57-67.

480. კახიძე ა. კოლხური კულტურის ისტორიიდან: (წალდი) / ა. კახიძე, ნ. კახიძე // ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები. - 2000. - ტ. 1. - გვ. 16-23. რეზ. ინგლ. ენაზე.

ამ ტიპის იარაღის გენეზისი, ქრონოლოგიური ჩარჩოები, გავრცელების არეალი, ფუნქციური დანიშნულება და სახელწოდების ეტიმოლოგია.

481. კეკელიშვილი მ. ქაღის მოლოგინებასთან და ახალშობილ ბავშვთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი კავკასიაში "СМОМІІК"-ის მიხედვით // კავკასიის მაცნე. - 2000. - №2. - გვ. 74-77. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

482. კიკვიძე ზ. სამყაროს მოდელი მითოსური წარმოდგენების მიხედვით // ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია. - 2003. - ტ. 3(37). - გვ. 105-111. რეზ. ინგლ. ენაზე.

სამყაროს დაყოფა ზესკნელად, ქვესკნელად, შუასკნელად და ამ წარმოდგენების წარმოქმნის საერთო ძირი (ქართული, შუმერულ-აქადური).

483. კოტეტიშვილი ც. თბილისელ ქურთ-იეზიდთა რელიგიური მრწამსი და ყოფა-ცხოვრება // პერსპექტივა-XXI. - 2003. - ტ. 5. - გვ. 59-63. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქურთ-იეზიდთა დასახლების ისტორია სომხეთსა და საქართველოში (XIX-XX სს.), მათი რელიგიური ტრადიციები და ადათ-წესები.

484. ლაფაჩი ც. ოჯახის წევრთა ურთიერთობა და სტატუსი სოფელ ბარალეთის მაგალითზე // თსუ ახალციხის ფილიალის შრომები. - 2000. - კრ. 2. - გვ. 107-116. რეზ. ინგლ. ენაზე.  
მესხეთის რეგიონი.

485. ლეჟავა ს. ორნამენტის რაობის საკითხისათვის // ძეგლის მეგობარი. - 2000 - №3(110). - გვ. 35-42. რეზ. ინგლ. ენაზე.  
ორნამენტის მითოლოგიური საზრისი, მისი თვისობრიობის სხვადასხვა კუთხით გაანალიზება.

486. მაღაზონია დ. ეთნოგრაფიული წერილები გაზეთ „ივერიაში“ [1886-1906 წწ.] // ინტელექტი. - 2000. - №1(7). - გვ. 119-121.

487. მაღაზონია დ. საქართველოს კუთხეების ეთნოგრაფია გაზეთ „ივერიაში“ [1886-1906 წწ.] // ინტელექტი. - 2000. - №1(7). - გვ. 122-124.

488. მგელაძე ნ. ხალხური დემონოლოგიური აზროვნების ისტორიიდან აჭარაში: (ფერი – ფერები) // საისტორიო მაცნე. - 2000. - №9. - გვ. 62-66.  
ფერები აჭარის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებში.

489. მესხიშვილი ც. ლევირატის წესი ქართველ ებრაელებში // თსუ ახალციხის ფილიალის შრომები. - 2000. - კრ. 2. - გვ. 129-132. რეზ. ინგლ. ენაზე.  
ლევირატის, ანუ უშიფლო ქვრივის მაზლზე მითხვეების წესი; ლევირატული ქორწინება ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ახალციხელ ებრაელთა მაგალითზე.

490. მიმინოშვილი ო. ეთნოგრაფიული მოგზაურობა საქართველოში. - თბ., 1998. - 189 გვ.  
რეც.: ფრუიძე ლ. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცის წიგნი: ჩავწვდეთ ეროვნულ სულს // ნუგეში. - 2000. - №2. - გვ. 116-120.

491. მღებრიშვილი ლ. ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები მესხეთში ჩამოსახლებულ სომხებში // თსუ ახალციხის ფილიალის შრომები. - 2000. - კრ. 2. - გვ. 124-128. რეზ. ინგლ. ენაზე.

492. რუხაძე ჯ. ქართული ეთნოლოგიის დიდი მოღვაწის ვერა ბარდაველიძის დაბადების 100 წლისთავი // თსუ ახალციხის ფილიალის შრომები. - 2000. - კრ. 2. - გვ. 89-95. რეზ. რუს. ენაზე. ცხოვრება და მოღვაწეობა.

493. სიხარულიძე ქ. კავკასიის ძველი მოსახლეობის მსოფლმხედველობა და ბრინჯაოს ცულების სარიტუალო ფუნქცია // კავკასიის მაცნე. - 2000. - №2. - გვ. 126-128. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე. არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სარიტუალო ტექსტების ანალიზის მიხედვით.

494. სულაძე მ. შელოცვათა რიტმული მოდელები // ამირანი. - 2000. - №2. - გვ. 36-56. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე. შელოცვათა რიტმული მოდელების სამი ძირითადი ტიპის განხილვა.

495. სურმანიძე რ. თედო სახოკია – მკვლევარი და ეთნოგრაფი: (ციკლიდან „ქართველი მწერლები და აჭარის კულტურული აღდგენა-დაწინაურება“) // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №4. - გვ. 68-80. ნაშრომში განხილულია მკვლევარ თ. სახოკიას წიგნი „მოგზაურობანი“ (თბ., 1950), რომელიც ეხება აჭარელთა ყოფა-ცხოვრებასა და ადათ-წესებს.

496. ღამბაშიძე ნ. ენკენის ხევისურული დღესასწაული // კლიო. - 2000. - №7. - გვ. 116-129. რეზ. ინგლ. ენაზე.

497. შალვაშვილი ლ. ქართული სოფელი: ყოფა-ცხოვრება და ტრადიციები: (გაკვეთილი-პანორამა) // საქართველოს გეოგრაფია. - 2002. - №1. - გვ. 107-111. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე. გაკვეთილის მიზანია სკოლის მოსწავლეებს გააცნოს ქართული სოფლის ძირითადი ტიპები, ყოფა-ცხოვრება, სამეურნეო საქმიანობა, ეროვნული კულტურის თავისებურებანი, წეს-ჩვეულებანი და სხვა.

498. შარაბიძე თ. სწორპოვერობისა და წაწლობის მისტერია // მნათობი. - 2000. - №9-10. - გვ. 119-126.

ქალისა და ვაჟის ურთიერთობა ხევესურეთსა და ფშავეში; განხილულია ამ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა.

499. ჩეღებაძე ნ. ქალის ადგილი საოჯახო საქმიანობის ორგანიზაციაში // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №8 - გვ. 93-97.  
ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აჭარის მაგალითზე.

500. ჩინჩაღაძე გ. ბუნებასთან მიმართების საზრისისათვის ხალხურ ტრადიციაში // ამირანი. - 2000. - №2. - გვ. 5-18. რეზ. ინგლ. ენაზე.

ბუნებრივი გარემოსადმი დამოკიდებულების გამოხატვა საქართველოში არსებულ ხალხურ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებში.

501. ცერაძე თ. ხევესურული კოსტიუმი // ხელოვნება. - 2000. - №5-6. - გვ. 27-32.

„ტალავარი“ – მისი ფორმები და შემადგენელი ნაწილები.

502. ცეცხლაძე გ. ოჯახის სტრუქტურა იმერეთში // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. - 2000. - ტ. 1. - გვ. 46-54.

ეთნოგრაფიული მასალა.

503. ცეცხლაძე გ. რამდენიმე საბუთი იმერეთის მოსახლეობის საოჯახო ყოფის შესწავლისათვის // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. - 2000. - ტ. 2. - გვ. 131-145.

ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების წესების შესწავლის მიზნით გამოქვეყნებულია ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული რამდენიმე საბუთი.

504. წიკლაური ი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საბრძოლო იარაღები // ბურჯი ეროვნებისა. - 2000. - №8-9. - გვ. 24.

ჯაჭვის პერანგი, აბჯარი, ხმალ-ხანჯალი, სათითური, ჩაჩქანი და ფარი.

505. ჭითანავა დ. დასახლების ფორმა სოფელ ყულიშკარში // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. - 2000. - ტ. 1. - გვ. 143-156.

ეთნოგრაფიული მასალა სოფ. ყულიშკარში (ზუგდიდის რ-ნი) დასახლების ფორმებისა და ტიპების შესახებ.

506. ჯუკაშვილი ი. ეთნიკური დაპირისპირების ისტორიული ასპექტის განსახილველად: (ეთნოისტორიული ანალიზი ქვემო ქართლის მაგალითზე) // ამირანი. - 2000. - №2. - გვ. 63-71. რეზ. ინგლ. ენაზე.

507. Меликишвили Л. Этнические аспекты развития постсоветского общества // პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია: წელიწადუფი. - 2002. - გვ. 128-134. რეზ. ინგლ. და ქართ. ენებზე.

Типологизация этнокультурных систем и этнокультурные типы самоопределения личности. Грузинская этническая культура.

## ქალები

508. ბაგრატიონ-დავითაშვილი ნ. ბაბო დადიანი // საქართველოს ქალი. - 2003. - №11-12. - გვ. 20-22.

გადასახლებაში მყოფი და რეაბილიტირებული, საზოგადოებისათვის ცნობილი ქალბატონის – ბაბო დადიანის ბიოგრაფიული ცნობები.

509. ბეჭირიშვილი ი. დარეჯან ქობულეთელი // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №9. - გვ. 77-79.

ბეჭანიძეთა ასული, თავდგირიძეთა რძალი და ქობულეთის გამგებელი, აჭარის განთავისუფლებისათვის მოღვაწე პატრიოტი – დარეჯან ქობულეთელი (XVIII ს.).

510. თოფურია თ. მერი // მუდმივი კავშირის სამყარო. - 2000. - №2. - გვ. 40-42. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

აფხაზეთის მთავართა შთამომავალ მერი შერვაშიძის ცხოვრება.

511. სიხარულიძე ნ. „კეთილი საქმის კეთება არასოდეს ყოფილა იოლი“ // ომეგა. - 2000. - №7. - გვ. 89-93.

პოეტ იზა ორჯონიკიძისა და საქველმოქმედო ორგანიზაციის – „ქალთა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ფონდი“ – წარმომადგენელთა მიერ მოწყობილი XIX ს.-ისა და XX ს.-ის დასაწყისის ქველმოქმედ ქალთა საქმიანობის ამსახველი ფოტომასალის, ხელნაწერებისა და მემორიალური ნივთების გამოფენა.



512. შარაბიძე თ. ქართველი ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა XIX ს.-ის ბოლოსა და XX ს.-ის დასაწყისში: (პრესის მონაცემების მიხედვით) // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. - 2000. - ტ. 2. - გვ. 99-130.

## გარემოს დაცვა. ეკოლოგია

513. გიგინეიშვილი გ. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის საკანონმდებლო მუშაობის ძირითადი შედეგების მოკლე მიმოხილვა: (1995-1999 წწ.) // ეკოლოგიის პრობლემები. - 2000. - ტ. 2. - გვ. 21-26.

514. გუნია გ. ტრანსპორტით გამოწვეული ზოგიერთი ეკოლოგიური პრობლემების შესახებ საქართველოში / გ. გუნია, ზ. სვანიძე // მეცნიერება და ტექნიკა. - 2000. - №1-3. - გვ. 90-93.

515. დვალიშვილი გ. ჭიათურის პლატოს გეოეკოლოგიური მდგომარეობა // საქართველოს გეოგრაფია. - 2002. - №1. - გვ. 115-117. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მანგანუმის მოპოვებით გამოწვეული გეოდინამიკური პროცესების, რელიეფის დეფორმაციისა და მდ. ყვირილას დაბინძურების აღმოსაფხვრელად სასწრაფოდ ჩასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი.

516. ელიზბარაშვილი ნ. ლანდშაფტთა დაგეგმარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები / ნ. ელიზბარაშვილი, მ. რატიანი // საქართველოს გეოგრაფია. - 2002. - №1. - გვ. 43-46. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ავტორი ასაბუთებს, რომ ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების აუცილებელი პირობა სწორად განსაზღვრული, ეკოლოგიურად გამართლებული ტერიტორიული დაგეგმარებაა.

517. თხილაიშვილი ა. გარემოს დაცვა მთავარი პრიორიტეტი // კვალი. - 2000. - №3-4. - გვ. 34-35. რეზ. ინგლ. ენაზე.

აჭარის ბუნებრივი რესურსები და ეკოლოგიური მდგომარეობა.

518. რიგვავა ლ. აფხაზეთი და დაცული ტერიტორიების სისტემის ზოგიერთი საკითხი // ეკოლოგიის პრობლემები. - 2000. - ტ. 2. - გვ. 140-146. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

აფხაზეთის ლანდშაფტური ზონების შესწავლა თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემოს დაცვისა და შენარჩუნების მიზნით.

519. ხარაზიშვილი ნ. ვისთვის – რეალური საშიშროება, ვისთვის – ქარის წისქვილები! // ომევა. - 2000. - №4. - გვ. 34-40.  
პალიასტომის ტბის დღევანდელი მდგომარეობა.

520. ვარაზაშვილი ნ. Инженерно-экологические условия использования водных ресурсов Грузии / Н. Г. Варазашвили, Г. Н. Гобечия // ეკოლოგიის პრობლემები. - 2000. - ტ. 2. - გვ. 91-104. რეზ. ინგლ. და ქართ. ენებზე.

Развитие отраслей водного хозяйства и смежных с ним отраслей производства, связанные с водными проблемами.

521. გიგინეიშვილი გ. Правовое обеспечение охраны биоразнообразия в Грузии // ეკოლოგიის პრობლემები. - 2000. - ტ. 2. - გვ. 11-20.

Законы, принятые Парламентом Грузии в области охраны природы и рационального использования природных ресурсов.

522. ზაზანაშვილი ნ. Некоторые проблемы охраны биоразнообразия Кавказа / Н. Зазанашвили, М. Мачавариани, М. Цицкишвили // ეკოლოგიის პრობლემები. - 2000. - ტ. 2. - გვ. 27-44.

Краткий исторический обзор заповедного дела на Кавказе; Физико-географическая характеристика Кавказа; Институциональное устройство в области консервации биоразнообразия в Грузии.

## **მათემატიკა.** **საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი**

523. ალბერტ (ალეკო) თავხელიძე 70 / რედ.: ა. ხელაშვილი, რ. ჩიქოვანი. - თბ., 2000. - 43 გვ.

ფიზიკოს-თეორეტიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ა. თავხელიძის იუბილესთან დაკავშირებით კრებულში თავმოყრილია ვლ. ჭავჭავანიძის, ნ. ამალღობელის, თ. ებანოძის, ე. შვეარდნაძის მისასალმებელი წერილები.

524. თანაკურსელები / რედ.: თ. ებანოიძე, გ. ჩიმაკაძე. - თბ., 2000. - 115 გვ.

გამოცემა ეძღვნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის 1953 წლის კურსდამთავრებულებს. გამოცემაში შესულია მასალები მხოლოდ მეცნიერებათა დოქტორებისა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატების შესახებ. ნაშრომი გვაცნობს მათ მოღვაწეობასა და ცხოვრების წესს.

525. საქართველოს გეოგრაფია: ნაწ. 1. ფიზიკური გეოგრაფია. - თბ., 2000. - 316 გვ.

ლიტერატურული წყაროებისა და ავტორის მიერ უშუალოდ მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში გრცლადაა მიმოხილული ბოლო დროს უჩვეულოდ გააქტიურებული ბუნების კატასტროფული მოვლენები; საუბარია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებაზე.

526. ასლანიკაშვილი ნ. კავკასიის გიშრის ზოგიერთი თავისებურება / ნ. ასლანიკაშვილი, ზ. კილასონია // სამთო ჟურნალი. - 2000. - №(4). - გვ. 54.

გიშრის საბადოები საქართველოში: წარმოშობა, ტექნიკური თვისებები.

527. ახალაია მ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის სასკოლო სწავლების ისტორიიდან // საქართველოს გეოგრაფია. - 2002. - №1. - გვ. 123-125. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

528. ახვლედიანი ი. გიშერი // სამთო ჟურნალი. - 2000. - №2(5). - გვ. 65-66. რეზ. ინგლ. ენაზე.

საქართველოში გიშრის მოპოვებისა და დამუშავების ისტორია: გიშრის „მომჭრელები“, ნედლეულის მოპოვება, თანამედროვე მდგომარეობა.

529. გელაშვილი ნ. კუს ტბა // ომეგა. - 2000. - №8. - გვ. 53-59.

კუს ტბისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დღევანდელი პრობლემები.

530. ბლიაძე მ. საქართველოს ტყის რესურსები // საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი: ბიულეტენი. - 2000. - №45. - გვ. 36-55.

ტყე და მისი მნიშვნელობა.

531. გობეჯიშვილი რ. ხევის თანამედროვე და ძველი მყინვარები / რ. გობეჯიშვილი, ლ. ქუთათელაძე, ო. დემეტრაშვილი // საქართველოს გეოგრაფია. - 2002. - №1. - გვ. 68-72. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მდ. თერგის აუზში განლაგებული თანამედროვე და ძველი მყინვარების მორფოლოგიური და მორფომეტრული დახასიათება.

532. თუშმაღიშვილ-გომელაურისა თ. სოლომონ თევზაძის გახსენება // ომეგა. - 2000. - №3. - გვ. 56-57

ფრაგმენტები მეორე მსოფლიო ომის წლებში ანტისაბჭოთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის რეპრესირებული ფიზიკოსის ცხოვრებიდან.

533. იაქე მ. ახალციხის რაიონის რესურსული პოტენციალი // თსუ ახალციხის ფილიალის შრომები. - 2000. - კრ. 2. - გვ. 149-152. რეზ. ინგლ. ენაზე.

რაიონში არსებული ბუნებრივი საბადოებისა და სამკურნალო წყლების მნიშვნელობა.

534. ინანაშვილი უ. ჭაღის მუხის (*Quercus pedunculiflora*) ბუნებრივი განახლება მდ. ალაზნის ჭაღის ტყის ბიოგენოცენოზებში // თსუ სიღნაღის ფილიალის შრომები. - 2001. - კრ. 3. - გვ. 220-224. რეზ. ინგლ. ენაზე.

535. კომახიძე ა. შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა და მისი რეაბილიტაციის პერსპექტივები / ა. კომახიძე, ნ. მაზმანიდი, რ. გორაძე // ეკოლოგიის პრობლემები. - 2000. - ტ. 2. - გვ. 157-180.

თევისა და ზღვის სხვა ბინადართა მოშენების თანამედროვე მდგომარეობა და საზღვაო მეურნეობის დაჩქარებული განვითარებისთვის ჩასატარებელი ღონისძიებები.

536. პაპუნძე ვ. აჭარის ტყეების ბიომრავალფეროვნება და მათი ეკოლოგიური როლი / ვ. პაპუნძე, ზ. მანველიძე // ეკოლოგიის პრობლემები. - 2000. - ტ. 2. - გვ. 119-131.

537. ღამბაშიძე ნ. ნიკო მუსხელიშვილი ეკრანზე // ომეგა. - 2000. - №6. - გვ. 49-51.

მეცნიერ-მათემატიკოსი ნ. მუსხელიშვილი კინემატოგრაფისტთა თვალით: შერგილ შონიას ფილმი – „აკადემიკოსი მუსხელიშვილი“.

538. ჩიკვაიძე რ. ფერადი ქვების სიმფონია // ლიტერატურული აჭარა. - 2000. - №8. - გვ. 90-92.

აჭარაში ფერადი ქვებისა და სამშენებლო მასალების მოპოვება-გამოყენება.

539. ხაჩიძე ო. სახელგანთქმული მეცნიერი, ჭეშმარიტი მამულიშვილი // ვაზი და ღვინო. - 2000. - №1-2. - გვ. 49-51.

ბიოქიმიკოსის, აკადემიკოს სერგი ღურმიშიძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

540. ჯიქია მ. ზუგდიდის რაიონის ბუნებრივი პირობებისა და რესურსების სამეურნეო შეფასება // საქართველოს გეოგრაფია. - 2002. - №1. - გვ. 112-114. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

541. Papyndze V. Biodiversity and Ecological Importance of Adjarian Forests / Vano Papunidze, Zurab Manvelidze // ეკოლოგიის პრობლემები. - 2000. - ტ. 2. - გვ. 110-118.

აჭარის ტყეების ბიოლოგიურ-ეკოლოგიური მრავალფეროვნება: რელიეფის გეოლოგიური აღნაგობა, ნიადაგები, მცენარეული საფარი, ტყის ძირითადი ტიპები და სხვ.

## სამედიცინო ლიტერატურა

542. გვენცაძე ლ. ბავშვთა პირველი საავადმყოფო სამოცი წლისა. - თბ., 2000. - 36 გვ.

თბილისის ბავშვთა პირველი კლინიკური საავადმყოფოს დაარსების ისტორია, შენობის უნიკალურობა და ექვსი ათეული წლის აქტიური ცხოვრება.

543. თვაური მ. კურორტი ბორჯომი და მისი უნიკალური მინერალური წყლები. - ბორჯომი, 2000. - 256 გვ.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია მასალა მე-19 ს.-ის 20-იანი წლებიდან 1912 წლამდე, გაშუქებულია ბორჯომის მინერალური წყლების სამედიცინო თვალსაზრისით შესწავლის საკითხი და მეფისნაცვლების როლი კურორტის განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

544. საქართველოს სამედიცინო კალენდარი: [2 ნაწილად] / ავტ. შემდგ.: ჯ. ქორჩილავა. - თბ., 2000. - 1082 გვ.

ნაშრომის პირველი ნაწილი – „ჩვენი სახელოვანი წარსული“ – წარმოადგენს ინფორმაციას გარდაცვლილ მედიკოსთა შესახებ; მეორე ნაწილში – „ჩვენი სახელოვანი თანამედროვენი“ – წარმოდგენილია ქართული სამედიცინო აზრის განვითარების უახლესი მიღწევები და თანამედროვე სახელოვანი ექიმები.

545. „ქრისტიანობა და მედიცინა: ბედია – 1000“, ბედიის ტაძრის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (2000, თბილისი). კონფერენციის მასალები. - თბ., 2000. - 206 გვ.

წიგნი წარმოაჩენს აფხაზეთის ექიმთა სამეცნიერო პოტენციას, გვაცნობს აფხაზეთისა და სამურზაყანოს სულიერ და კულტურულ წარსულს, მატერიალური კულტურის ძეგლებს, მის დღევანდელობას.

546. ბუკია ნ. ფონიატრიის უანგარო მსახური // საქართველოს ქალი. - 2003. - №1-2. - გვ. 9.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ექიმი-ფონიატრი გუღნარა ჭარხალაშვილი.

547. ბურდული მ. ძველი ქართული მედიცინა არქეოლოგიური მასალის მიხედვით // თსუ ახალციხის ფილიალის შრომები. - 2000. - კრ. 2. - გვ. 117-123. რეზ. ინგლ. ენაზე.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამედიცინო იარაღ-ჭურჭელი და მათი დანიშნულება ძველ ქართულ მედიცინაში.

548. დოლიძე ნ. სამი საუკუნის მომსწრე // საქართველოს ქალი. - 2003. - №1-2. - გვ. 20.

ჩოხატაურის რაიონის სოფ. ბუკნარში მცხოვრები, 100 წელს გადაცილებული ქალბატონი – ფედოსი ჯინჭარაძე.

549. ვეფხვაძე ნ. „მოსაცდელად არ მცალია“ // საქართველოს ქალი. - 2003. - №3-4. - გვ. 2-4.

ინტერვიუ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ნ. ვეფხვაძესთან პირად ცხოვრებაზე, პროფესიულ საქმიანობასა და ოჯახზე / ესაუბრა მ. ნაკაიძე.

550. სანიკიძე მ. გაუთვალისწინებელი ნაცნობობა // ნოსტალგია. - 2000. - ივლისი. - გვ. 13-14.

თბილისის მე-4 სამშობიარო სახლის ახალშობილთა განყოფილების გამგის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ მარინე ჯაფარიძის ცხოვრების გზა.

551. ძაგნიძე ზ. ყოველგვარი ხატოვნების გარეშე // ნოსტალგია. - 2000. - ივლისი. - გვ. 28.

ვეტერინარი და მკურნალი ექიმი, ზოოვეტის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, კლინიკური დიაგნოსტიკისა და თერაპიის კათედრის დოცენტი თეიმურაზ მარხვაშვილი – ცხოვრების გზა.

### **ტექნიკური ლიტერატურა**

552. ელიზბარ მინდელი: (ცხოვრება, მოღვაწეობა, მოგონებები). - თბ., 2000. - 352 გვ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის – ე. მინდელის ცხოვრება და საზოგადოებრივ-ორგანიზაციული საქმიანობა.

553. გაგუა თ. გაზმომარაგების აღდგენა საქართველოში / თ. გაგუა, ნ. ნებიერიძე // ენერჯია. - 2000. - №2. - გვ. 102-107. რეზ. ინგლ. ენაზე.

554. ვარამაშვილი მ. ცოტა რამ კახეთის რკინიგზის ისტორიისათვის: (გაზეთების „ივერიისა“ და „ხმა კახეთისას“ მიხედვით) // თსუ სიღნაღის ფილიალის შრომები. - 2003. - კრ. 4. - გვ. 31-35. რეზ. ინგლ. ენაზე.

555. ნიკოლოზ დანელია: (დაბადების 95 წელთან დაკავშირებით) // ენერჯია. - 2000. - №4. - გვ. 121-122.

ინჟინერ-მელიორატორის პედაგოგიური და სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობა.

556. ნიკოლოზ მოწონელიძე: (დაბადების 80 წელთან დაკავშირებით) // ენერჯია. - 2000. - №4. - გვ. 123.

ინჟინერ-მშენებლის ბიოგრაფია და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა.

## ენერგეტიკა. ელექტროსადგურები

557. აბესაძე რ. რეფორმების მიმდინარეობა საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში // პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია: წელიწდეული. - 2002. - გვ. 270-276. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

558. ბრეგვაძე გ. მდინარეების – ენგურისა და რიონის აუზების ჰიდროენერჯის გამოყენების პრობლემები და პერსპექტივები / გ. ბრეგვაძე, ვ. ტრაპაძე // საქართველოს გეოგრაფია. - 2002. - №1. - გვ. 91-94. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

559. მაისურაძე შ. საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში შექმნილი მდგომარეობისა და ამ მდგომარეობიდან გამოსვლის უახლესი ზოგიერთი სტრატეგიული ღონისძიების შესახებ // ენერგეტიკა. - 2000. - №2. - გვ. 9-13.

560. სვანიძე გ. საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი // ეკოლოგიის პრობლემები. - 2000. - ტ. 2. - გვ. 181-193.

561. ქორიძე გ. აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის საქართველოს ენერგოსისტემაში ჩართვის 60 წელი // ენერჯია. - 2000. - №4. - გვ. 30-36. რეზ. ინგლ. ენაზე.  
აჭაქსის მშენებლობის ისტორია.

562. ჩომახიძე დ. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი // საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. - 2002. - №3. - გვ. 237-247. რეფერატი რუს. ენაზე.  
ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების ანალიზი 1990-2000 წლებში.

563. ჭუმბურიძე გ. ბ. ჭიჭინაძის სახელობის ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციოდ გაშვების 40 წელი / გ. ჭუმბურიძე, ვ. ჯაფარიძე // ენერჯია. - 2000. - №4. - გვ. 37-45. რეზ. ინგლ. ენაზე.

ცაგერის რაიონში მდინარე ლაჯანურზე არსებული ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტებისა და მშენებლობის ძირითადი ეტაპები, ნაგებობათა დახასიათება.



564. გვინჩიძე დ. Перспективы устойчивого развития, возобновляемые источники энергии ЮНЕСКО и Грузия // ეკოლოგიის პრობლემები. - 2000. - ტ. 2. - გვ. 70-90. რეზ. ინგლ. და ქართ. ენებზე.

История и практика применения некоторых типов возобновляемых источников энергии: гидроэнергия, солнечная энергия, энергия биомассы, энергия ветра и др. Подключение Грузии к программной деятельности ЮНЕСКО в этом направлении.

### **სამთო მრეწველობა**

565. ბორის დემეტრაძე // სამთო ჟურნალი. - 2000. - №2(5). - გვ. 75.

სამთო ინჟინრის ბიოგრაფია და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა.

566. ლობჯანიძე გ. საქართველოს სამთო მრეწველობა: თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები // მაკრო მიკრო ეკონომიკა. - 2002. - №4(53). - გვ. 40-43. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

567. ლობჯანიძე გ. საქართველოში სამთო მრეწველობის განვითარების შესახებ // ეკონომიკა. - 2000. - №7-8. - გვ. 88-94.

568. მატარაძე ე. ირაკლი ზურაბიშვილი (1918-1921) // სამთო ჟურნალი. - 2000. - №1(4) - გვ. 57.

სამთო ინჟინრის პრაქტიკული და სამეცნიერო მოღვაწეობა.

569. მელიქიძე ი. ჭიათურის მანგანუმი // სამთო ჟურნალი. - 2000. - №1(4). - გვ. 8-11. ქართულ-ინგლისური ტექსტი.

ჭიათურის საბადოს აღმოჩენისა და მისი ტექნოლოგიურად დამუშავების ისტორია.

570. მიქელაძე ა. საქართველოს ნახშირის მრეწველობის აღდგენა-განვითარების გზები / ა. მიქელაძე, უ. გურეშიძე, ა. ბოჭორიშვილი // სამთო ჟურნალი. - 2000. - №2(5). - გვ. 4-5. რეზ. ინგლ. ენაზე.

571. ნადირაშვილი ნ. ელიზბარ მინდელი: (1910-1980) // სამთო ჟურნალი. - 2000. - №2(5). - გვ. 73-74.

სამთო ინჟინრის ცხოვრება და მოღვაწეობა.

572. რეხვიაშვილი ი. საქართველოს ნახშირის მრეწველობის თანამედროვე დარგად გარდაქმნის სტრატეგიული მნიშვნელობა // სამთო ჟურნალი. - 2000. - №2(5). - გვ. 13-14. რეზ. ინგლ. ენაზე.

573. საქართველოს მანგანუმის მარაგები // სამთო ჟურნალი. - 2000. - №1(4). - გვ. 18-19.

ჭიათურის, ჩხარიაჯამეთის, შქმერის საბადოები, თეთრიწყაროს ჯგუფი.

574. ფეხვიანიძე ა. ივანე ხუხუნიანიშვილი: (1900-1969) // სამთო ჟურნალი. - 2000. - №2(5). - გვ. 71-72.

სამთო ინჟინერ ი. ხუხუნიანიშვილის ბიოგრაფია, პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა.

575. Гвинджилия В. К истории Ткварчельского угольного месторождения // სამთო ჟურნალი. - 2000. - №2(5). - გვ. 10-12. რეზ. რუს. ენაზე.

576. Долидзе Д. Чиатурский марганец, история, геология / Д. Долидзе, А. Гавашели // სამთო ჟურნალი. - 2000. - №1(4). - გვ. 12-14. ტექსტი რუს. და ინგლ. ენებზე.

Публикуется отрывок из книги Д. Долидзе, А. Гавашели ..., «Чиатурское месторождение марганца» (М., 1964 г).

## ნავთობი

577. ასათიანი გ. ქართულ-ამერიკული ნავთობგადამამუშავებელი კომპანიის მუშაობა და მისი განვითარების პერსპექტივები / გ. ასათიანი, ე. გვენცაძე // საქართველოს ნავთობი და გაზი. - 2000. - №2. - გვ. 240-247.

578. ეპიშვეა ლ. ნავთობმოპოვების ზრდის ტენდენციები რუსეთსა და საქართველოში // მაკრო მიკრო ეკონომიკა. - 2002. - №10(59). - გვ. 28-29.

579. ნიკურაძე გ. გურიის მხარის შუა ეოცენურ ნალექებში ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების პერსპექტივების შესახებ / გ. ნიკურაძე, დ. პაპავა, თ. ებრაღიძე // საქართველოს ნავთობი და გაზი. - 2000. - №2. - გვ. 124-131.

გურიისა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე ნავთობისა და გაზის ახალი საბადოების აღმოსაჩენად ვულკანოგენური ნალექების მაღალი პერსპექტიულობის დასაბუთება.

580. შაქარაშიელი თ. საქართველოს ნავთობების ნარევის პირველადი გადამუშავება და კვლევა / თ. შაქარაშიელი, მ. ანდლულაძე // საქართველოს ნავთობი და გაზი. - 2000. - №2. - გვ. 253-258.

581. ხეცურიანი ნ. ნავთობის გადამუშავების განვითარების პერსპექტივები საქართველოში / ნ. ხეცურიანი, ე. გვენცაძე // საქართველოს ნავთობი და გაზი. - 2000. - №2. - გვ. 249-250.

582. ჯაში თ. შპს „იორის ველი“ და მისი პარტნიორები / თ. ჯაში, ა. თაყაიშიელი // საქართველოს ნავთობი და გაზი. - 2000. - №2. - გვ. 220-222.

საქართველო-შვეიცარიის ერთობლივი საწარმო „იორის ველის“ საქმიანობა, რომელიც განისაზღვრება ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიებითა და მიღებული პროდუქციის მარკეტინგით.

583. Вахания Е. Нефтяные месторождения Грузии / Е. Вахания, З. Мгеладзе // საქართველოს ნავთობი და გაზი. - 2000. - №2. - გვ. 80-93.

## სოფლის მეურნეობა

584. რამიშვილი რ. ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია: ისტორიულ-არქეოლოგიური და ამპელოგრაფიული გამოკვლევა. - [თბ., 2000]. - 240 გვ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობის კათედრის გამგის ნაშრომი ვერდნობა არქეოლოგიურ, ისტორიულ, პალეონტოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ლინგვისტურ წყაროებს და ადასტურებს კულტურული ვაზის ფორმათა წარმოშობის კერის პირვანდულობას ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

585. ხსოვნა მადლისა: ნიკოლოზ იაშვილი – მეცნიერი და პიროვნება 100. - თბ., 2000. - 112 გვ.

მოგონებათა კრებული სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად წარმოგვიდგენს სამამულო აგრარული დარგის წარმომადგენლის ცხოვრების გზას.

586. ახმეტელი ნ. საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის საკითხისათვის // ამირანი. - 2000. - №3. - გვ. 34-40. რეზ. რუს. და გერმ. ენებზე.

ველური ვაზის მოშინაურება და კულტივირება, დარგის განვითარების ასპექტები, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია.

587. ბარდაველიძე ე. ვარდისფერი ღვინოების სანედლეულო ბაზა რაჭა-ლეჩხუმში // კვალი. - 2000. - №3-4. - გვ. 50-51.

588. ბასილაია ზ. ქართული ღვინის სახელით // იმიჯი. - 2000. - №13-14. - გვ. 41-42.

საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია GWS -ს საქმიანობა. კომპანიის დირექტორ გ. მშივილობაძის საუბარი კომპანიის შექმნისა და სამომავლო მიზნების შესახებ.

589. გაფრინდაშვილი გ. რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობა // ვაზი და ღვინო. - 2000. - №1-2. - გვ. 15-19.

რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, ნიადაგობრივი პირობები, მევენახეობა-მეღვინეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

590. გელაშვილი თ. სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები უცხოური კრედიტებისა და ინვესტიციების პირობებში: (საქართველოში) // თსუ ახალციხის ფილიალის შრომები. - 2000. - კრ. 2. - გვ. 144-148. რეზ. ინგლ. ენაზე.

591. გიგინეიშვილი ლ. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის კორპორაციული ქსელი / ლ. გიგინეიშვილი, მ. ჯანელიძე // კვალი. - 2000. - №11-12. - გვ. 40-41.

592. ვადაჭკორია მ. ფერმერული მეურნეობა ეკონომიკური რეფორმების პირობებში // საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები. - 2000. - ტ. 2. - გვ. 14-16. აგრარულ სფეროში ჩატარებული რეფორმები.

593. ვაშაკიძე ო. საქართველოს მიწის ფონდის რაციონალური გამოყენების მიმართულებები მეურნეობრიობის ახალ პირობებში // საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. - 2002. - №3. - გვ. 287-299. რეფერატი რუს. ენაზე.

აგრარული რეფორმის ცენტრალური პრობლემის – მიწის რეფორმის მიმდინარეობა, პრივატიზაციის შედეგები, მიწის რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობა – სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსავლიანობის ამაღლებისათვის.

594. იაკობიძე ს. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პრივატიზებისა და არენდით გაცემის რეგიონული თავისებურებანი // მაკრო მიკრო ეკონომიკა. - 2002. - №9(58). - გვ. 46-49. ტექსტი ქართ., ინგლ. და რუს. ენებზე.

მიწის რეფორმების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ცხრილის ანალიზის საფუძველზე ჩამოთვლილია რეგიონულ თავისებურებათა განმსაზღვრელი ფაქტორები: სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაცია, მოსახლეობის რიცხოვნობა, დემოგრაფიული პროცესები და სხვა.

595. ილურიძე მ. მემინდვრეობის ისტორიიდან: (სოფელი მარტყოფი) // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. - 2000. - ტ. 1. - გვ. 108-115.

596. კანდელაკი ი. საქართველოს მეღვინეთუხუცესი // ვაზი და ღვინო. - 2000. - №1-2. - გვ. 53.

საქართველოს დამსახურებული მეღვინე გიორგი თუშმალიშვილი – ბიოგრაფია, პრაქტიკული და შემოქმედებითი საქმიანობა.

597. კოკაია ქ. სამეგრელოს რეგიონში მეჩაიეობის დარგის აღდგენისა და განვითარების საკითხისათვის // მაკრო მიკრო ეკონომიკა. - 2002. - №2(51). - გვ. 48-49. ტექსტი ქართ., ინგლ. და რუს. ენებზე.

597ა. კორტავა ი. ს. ს. თბილისის I ღვინის ქარხანა „სავანე“ 103 წლისა // ვაზი და ღვინო. - 2000. - №1-2. - გვ. 46-48.

საწარმოს (სააქციო საზოგადოება) დაარსებისა და საქმიანობის ამსახველი მოკლე ისტორიული ექსკურსი.

598. ლორთქიფანიძე ნ. გადივლის თვალწინ ამღვრეული დროის ტრიალი // ნოსტალგია. - 2000. - ივლისი. - გვ. 7-11.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორ ალ. ლილი-ვაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა – დაბადების 70 წლისთავის გამო.

599. მიქელაძე გ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ღვინით ვაჭრობის მდგომარეობა და ქართული ღვინოების ექსპორტი და პერსპექტივები / გ. მიქელაძე, ნ. ფარსადანიშვილი // თსუ სიღნაღის ფილიალის შრომები. - 2003. - კრ. 4. - გვ. 214-224. რეზ. ინგლ. ენაზე.

600. მიქელაძე გ. ქართული კონკურენტუნარიანი ცქრიალა ღვინოების წარმოების, ბაზრისა და სანედლეულო ბაზის დახასიათება / გ. მიქელაძე, თ. მენტეშაშვილი // თსუ სიღნაღის ფილიალის შრომები. - 2003. - კრ. 4. - გვ. 202-212. რეზ. ინგლ. ენაზე.

საშამპანურე ქართული ყურძნის ჯიშების – ციცქა, ჩინური, გორული მწვანე, ალიგოტე და სხვ. ტექნოლოგიური და ბიოქიმიური დახასიათება.

601. მოსულიშვილი უ. სარწყავი მიწების ეფექტიანობის ამაღლების საკითხები ალაზნის ველის პირობებში / უ. მოსულიშვილი, გ. შენგელია // თსუ სიღნაღის ფილიალის შრომები. - 2001. - კრ. 3. - გვ. 216-220. რეზ. ინგლ. ენაზე.

602. მჭედლიშვილი დ. საქართველოს სოფლის მეურნეობის დაფინანსება მეფის რუსეთის მმართველობის პერიოდში // კვალი. - 2000. - №11-12. - გვ. 15-16.

603. სანთელაძე ნ. ერის სტრატეგია – საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პრობლემები // მაკრო მიკრო ეკონომიკა. - 2000. - №6. - გვ. 40-42.

ჩაის მრეწველობა საქართველოში: პრობლემები, ქმედითი ღონისძიებები.

